

2015 წლის ანგარიში

ეროვნული თავდაცვის აკადემია

ფინანსების მართვის სამმართველო

განხორციელებული ღონისძიებები

- ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შედგენის მიზნით (BDD) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარედგინა საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის 2013-2014 წლების შეფასება და 2015 წლის პროგრამული ბიუჯეტის სამოქმედო გეგმის შესახებ ინფორმაცია;
- მომზადდა საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმისა და პროგრამების საშუალოვადიანი ბიუჯეტის შესახებ ინფორმაცია 2016-2019 წლებისათვის;
- მომზადდა მხარჯავი დაწესებულების პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესახებ 3, 6 და 9 თვის ანგარიშები;
- მომზადდა და ფინანსთა სამინისტროს წარედგინა 2015 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ 3, 6 და 9 თვის ანგარიშები;
- მომზადდა განხორციელებული ტენდერებიდან წარმოქმნილი ეკონომიისა და მისი შემდგომი გამოყენების შესახებ I, II და III კვარტლების ინფორმაცია.
- მომზადდა 2016 წლის ბიუჯეტის პროექტი და წარედგინა შესაბამის უწყებებს მისი შემდგომი განხილვისა და დამტკიცებისთვის.

მიმდინარე ღონისძიებები

- მიმდინარე პერიოდში საკასო შესრულების პროცენტული მაჩვენებელი 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმასთან მიმართებაში შეადგენს 98%-ს;
- 2016 წლის ბიუჯეტის პარამეტრების დამტკიცების შემდგომ, აკადემიის გეგმების რეალიზების მიზნით განხორციელდება ფინანსური რესურსების გადანაწილება და კვარტალურ განწერაში ასახვა;
- ხორციელდება კონტროლი ხარჯთაღრიცხვის შესრულების მიმდინარეობაზე, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ანგარიშსწორებაზე, აკადემიის თანამშრომლებზე ხელფასების (კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გასაცემლების) დაანგარიშება და გაცემა, სახაზინო და საბანკო ოპერაციების წარმოება კანონმდებლობის შესაბამისად, გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე ფაქტიურად გაწეული მომსახურებისათვის თანხებზე

ვალდებულებების აღება და ხარჯის გაწევა, საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებების განხორციელების უზრუნველყოფა, კვარტალური ანგარიშებისა და საბალანსო მონაცემების შედგენა და გაგზავნა შესაბამის უწყებებში.

აკადემიის ბიუჯეტი

ათას ლარებში

დასახელება	2016 დამტკიცებული	2015 დაზუსტებული	სხვაობა
<i>სულ</i>	<i>15,850.0</i>	<i>16,211.0</i>	<i>-361.0</i>
რიცხოვნობა	1,580.0	1,580.0	0.0
სულ ხარჯები	15,544.0	15,564.0	-19.9
შრომის ანაზღაურება	10,178.0	10,983.0	-805.0
საქონელი და მომსახურება	4,582.0	3,780.0	802.0
სოციალური უზრუნველყოფა	375.0	430.0	-55.0
სხვა ხარჯები	409.0	371.0	38.0
არაფინანსური აქტივები	306.0	643.0	-337.0
ვალდებულებების კლება	0.0	4.1	-4.1

შენიშვნა:

- ბიუჯეტი არ მოიცავს კვებისა და პერსონალის დაზღვევის ხარჯებს.
- ფინანსთა სამინისტროს თხოვნით, შრომის ანაზღაურების მუხლიდან 509.0 ათასი ლარი გადაიტანეს საქონელი და მომსახურების მუხლში, რომელსაც 2016 წლის განმავლობაში გადაიტანენ უკან.

იურიდიული სამმართველო

განხორციელებული ღონისძიებები:

- საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბთან კოორდინირებით შემუშავებულ იქნა „სამხედრო სადისციპლინო წესდება“ - ში შესატანი ცვლილებების პროექტი;
- ცვლილებები განხორციელდა აკადემიის უმცროს ოფიცერთა სკოლის დებულებაში;
- დაიგეგმა და ჩატარდა აკადემიის აკადემიური საბჭოს 16 სხდომა;
- მემორანდუმი გაფორმდა საქართველოს პრეზიდენტსა და აკადემიას შორის;
- „საქართველოს სახელმწიფო გერბის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან

კოორდინირებით შემუშავებულ იქნა აკადემიის სკოლების კურსდამთავრებულთათვის გადასაცემი სამკერდე ნიშნის ესკიზები.

მიმდინარე ღონისძიებები:

- აკადემიის შეფასებისა და მონიტორინგის განყოფილებასთან კოორდინირებით შემუშავებულ იქნა სტიპენდიის გაცემის განახლებული წესი, განხილულ იქნა აკადემიურ საბჭოზე და შესაბამისი შენიშვნებითა და რეკომენდაციებით დასამტკიცებლად წარდგენილ იქნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროში;
- სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ დებულების მე-16 თავის მე-13 პუნქტის შესაბამისად საქართველოს თავდაცვის სამინისტროში წარდგენილია წინადადება და მიმდინარეობს სამუშაო პროცესი რათა აკადემიის რექტორს მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს, სამხედრო მოსამსახურის თანამდებობაზე დროებით არყოფნისას მისი მოვალეობების სხვა სამხედრო მოსამსახურეზე დაკისრება;
- „აკადემიის შინაგანაწესი და სამოქალაქო დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებში“ საავადმყოფო ფურცელთან დაკავშირებით ცვლილებების შეტანა;
- აკადემიის სასწავლო ბატალიონის დებულების მომზადება/დამტკიცება;
- აკადემიაში არსებული შესაბამისი დოკუმენტაციის, საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაცია/აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა;
- „აკადემიის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიან წესში“ ცვლილებების შეტანა.

სტატისტიკური მონაცემები:

აკადემიის ადმინისტრაციის იურიდიულ სამმართველოში მომზადდა, 482 კ/შ ბრძანება, 57 საორგანიზაციო ბრძანება და 384 წერილი.

ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება

ჩატარებული ღონისძიებები

- 2015 წლის განმავლობაში ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში განხორციელდა საშტატო ოპტიმიზაცია და საშტატო ნუსხა შეიცვალა ხუთჯერ.
 - ✓ დღეის მდგომარეობით აკადემიის შტატი განისაზღვრება 1498 ერთეულით;
 - ✓ შეიცვალა აკადემიის რექტორის საშტატო კატეგორია, სამოქალაქო პირის ნაცვლად აკადემიის რექტორის საშტატო კატეგორიად განისაზღვრა ბრიგადის გენერალი;
 - ✓ საშტატო ნუსხას გამოაკლდა უმცროს ოფიცერთა სკოლის სპეციალიზაციის კურსები (საარტილერიო ოფიცერთა მომზადების კურსი, ლოგისტიკის ოფიცერთა მომზადების კურსი, კავშირგაბმულობის ოფიცერთა მომზადების კურსი, დაზვერვის ოფიცერთა მომზადების კურსი, ჯავშანსატანკო ოფიცერთა

მომზადების კურსი, სამხედრო პოლიციის ოფიცერთა მომზადების კურსი) და ავიაციისა და საჰაერო თავდაცვის უმცროს ოფიცერთა სკოლა, რომლებიც გადავიდა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობის დაქვემდებარებაში.

- ✓ საშტატო ნუსხას დაემატა სასწავლო ბატალიონის იუნკერის 98 (ოთხმოცდათვრამეტი) შტატი და გამოაკლდა უმცროს ოფიცერთა სკოლის მსმენელი-ლეიტენანტის 111 (ასთერთმეტი) შტატი, რომელიც დაემატა საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობას.
- აღნიშნული ცვლილების შემდეგ აკადემიის შტატი განისაზღვრება 1493 ერთეულით;
- 2015 წლის 23 დეკემბრის მდგომარეობით ეროვნული თავდაცვის აკადემიის პირად შემადგენლობაში ირიცხება 1144 თანამშრომელი (მათ შორის იუნკერი/მსმენელი - 516). მიმდინარე მომენტისთვის აკადემიას აქვს შემდეგი ვაკანტური ადგილები:
- სამოქალაქო თანამდებობა - 78 (სამოცდათვრამეტი);
- სამხედრო თანამდებობა - 74 (სამოცდათოთხმეტი).

2015 წლის 01 იანვრიდან 2014 წლის 23 დეკემბრამდე

- სამოქალაქო თანამდებობაზე დაინიშნა **23** თანამშრომელი;
- სამხედრო თანამდებობაზე დაინიშნა **17** თანამშრომელი;
- სამოქალაქო თანამდებობიდან გათავისუფლდა **35** თანამშრომელი;
- სამხედრო თანამდებობიდან გათავისუფლდა **48** თანამშრომელი.;
- 2015 წლის 1 იანვრიდან 23 დეკემბრამდე აკადემიაში ხელშეკრულებით აყვანილ იქნენ **29** თანამშრომელი (ამჟამად სამსახურს აგრძელებს **13** თანამშრომელი).

თანამშრომელთა პროფესიული განვითარების საჭიროებიდან გამომდინარე, განისაზღვრა აკადემიის თანამშრომელთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები და კურსები.

აკადემიის თანამშრომლები მიმდინარე წლის განმავლობაში დაესწრნენ ქვემოთ ჩამოთვლილ კურსებსა და ტრენინგებს:

- ბიუჯეტის დაგეგმვისა და აღსრულების სემინარსი და სახელმწიფო შესყიდვების კურსი;
- DEEP-ის ორგანიზებით გამართულ ტრენინგი სწავლების ეფექტური მეთოდების შესახებ;
- ეფექტური კომუნიკაციის ტრენინგი;
- მოლაპარაკების წარმოება;

- სემინარი სახელწოდებით „დემოკრატია შეიარაღებულ ძალებში“, რომელიც საქართველოსა და გერმანიის თავდაცვის სამინისტროებს შორის ორმხრივი თანამშრომლობის გეგმის ფარგლებში ჩატარდა;
- ლიდერობა, გუნდური მუშაობის პრინციპები;
- პრევენციის ჩატარების ტექნიკები;
- საბიუჯეტო ორგანიზაციების გადასახდელების გადახდა და საბიუჯეტო კლასიფიკაცია;
- ინვენტარიზაცია საბიუჯეტო ორგანიზაციაში.

შესყიდვების განყოფილება

განხორციელებული საქმიანობები

- სამხედრო მოსამსახურეებისათვის სანივთე ქონებით განსაზღვრული 65 დასახელების სამოსისა და აღჭურვილობის შესყიდვა საერთო ღირებულებით - 1 157 000 ლარი;
- იუნკერებისა და მომსახურე პერსონალისთვის 150 ცალი ლეპტოპისა და 10 ცალი მაგიდის კომპიუტერებით უზრუნველყოფა საერთო ღირებულებით - 121 627 ლარი;
- აკადემიის კუთვნილი 23 ერთეული ავტოსანტრასპორტო საშუალებაზე მოქმედებს სადაზღვევო პირობები, რომელიც ასევე ითვალისწინებს მესამე პირის დაზიანების შემთხვევაში ზარალის ანაზღაურებას.
- მიმდინარე წელს განხორციელდა 94 000 ლარის ღირებულების ავტოსანტრასპორტო საშუალებების ნაწილებისა და შეკეთების მომსახურების შესყიდვა.
- ბიბლიოთეკის გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო პროგრამული პაკეტების, სახელმძღვანელოებისა და წიგნადი ფონდის შევსება საერთო ღირებულებით - 14 000 ლარი;
- ლაზარეთისთვის საჭირო 47 800 ლარის ღირებულების მედიკამენტებისა და სახარჯი მასალების შესყიდვა;
- 116 000 ლარის ღირებულების კარტრიჯებისა და საკანცელარიო საქონლის შესყიდვა;
- ზოოვეტის ტერიტორიაზე მყოფი დოკტრინების მომზადების სამმართველოს და ენობრივი მომზადების ცენტრისთვის სამუშაო პირობების გასაუმჯობესებლად განხორციელდა ელექტრო გაყვანილობების რეაბილიტაცია, 45 ცალი ფრიალის (ვენტილატორი), 20 ცალი გამათბობელის, 2 ცალი მაცივარისა და 2 ცალი მიკროტალღური ღუმელის შესყიდვა;
- აკადემიის პოპულარიზაციის მიზნით სარეკლამო ვიდეორგოლის სატელევიზიო ეთერში განთავსება საერთო ღირებულებით - 90 000 ლარი;
- განათლების საერთაშორისო და რეგიონალურ გამოფენებში მონაწილეობის მიღება და ბრენდირებული სარეკლამო მასალების შესყიდვა;
- აკადემიის გაგრილების სისტემის რეაბილიტაციისთვის შესყიდულ იქნა 102 000 ლარის ღირებულების ორი ერთეული ჩილერი;
- საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოსთან კოორდინირებით შემუშავებულ იქნა აკადემიის საბაკალავრო, სამეთაურო-სამტაბო,

- კაპიტნის საკარიერო და უმცროს ოფიცერთა სკოლების სამკერდე ნიშნები და მოხდა მათი შესყიდვა საერთო ღირებულებით - 16 045 ლარი;
- მწყობრიდან გამოსული საქვების რეაბილიტაციის მიზნით განხორციელდა 405 000 ლარის ღირებულების 2 ერთეული ახალი გათბობის ქვებისა და მიმდინარე სარემონტო სამუშაოების შესყიდვა;
 - საველე სწავლებების ეფექტურად წარმართვის მიზნით განხორციელდა 150 ცალი საიმიტაციო კვამლწარმომქნელი ხელყუმბარებისა და 200 ცალი ფეთქებადი პაკეტის (მანათობელი საარტილერიო სიმულაციური მუხტი) შესყიდვა საერთო ღირებულებით - 6496 ფუნტი სტერლინგი;
 - საცურაო აუზში ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით განხორციელდა საჭირო ქიმიური საშუალებების შეძენა აუზის ქიმიური დამუშავება საერთო ღირებულებით - 11 086 ლარი;
 - აკადემიის მე-3 კორპუსში შეიცვალა წყალგაყვანილობის სისტემა;
 - აკადემიის სასადილო შენობის საბანკეტო დარბაზში დამონტაჟდა გათბობა-გაგრილების 3 ცალი მძლავრი კონდენციონერი საერთო ღირებულებით - 10 500 ლარი;
 - სასადილოს შენობაში გათბობის სისტემის დაზიანების გამო ახალი ალტერნატიული გათბობის სისტემის მოწყობა საერთო ღირებულებით - 28 000 ლარი;
 - სასადილო შენობაში მეხისგან დაზიანებული ელექტროსადენების რეაბილიტაცია;
 - შენობებში არსებული გათბობა - გაგრილების მოწყობილობების ელექტრონული სქემების შეკეთება;
 - შეკეთდა აკადემიის ტერიტორიაზე დამონტაჟებული 5 ცალი ვიდეოკამერა, ხოლო მიმდინარე წლის ბოლომდე დასრულდება დამატებით 10 ვიდეოკამერის შეკეთება;
 - აკადემიასთან დაკავშირებული მოვლენების უკეთ გაშუქების მიზნით განხორციელდა 4309 ლარის ღირებულების ფოტოაპარატის შესყიდვა;
 - თავდაცვის უმაღლესი კურსის მაღალ დონეზე ჩატარებაში აქტიური მონაწილეობის მიღება და საჭირო საქონლისა თუ მომსახურების შესყიდვა;
 - აკადემიის სამხედრო მოსამსახურეებისა და სამოქალაქო პირების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით განხორციელდა 18 292 ლარის ღირებულების სატრენინგო მომსახურების შესყიდვა.

ზოგადი სტატისტიკა

- 2015 წლის დაფინანსების ფარგლებში გამოცხადებული ტენდერების რაოდენობა - 111;
- 2015 წლის დაფინანსების ფარგლებში 23 დეკემბრის ჩათვლით გაფორმებული ხელშეკრულებების რაოდენობა - 585;
- 2015 წლის 23 დეკემბრის ჩათვლით გაფორმებული ხელშეკრულებების ღირებულება - 2 990 000 ლარი.
- ტენდერებიდან წარმოქმნილი ეკონომია - 171 671,38 ლარი.
- 2015 წლის შესყიდვების გეგმის შესრულების პროცენტული მაჩვენებელი 23 დეკემბრის მდგომარეობით - 98%;

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება

ზოგადი საქმიანობა სამუშაოები

- აკადემიის ინფრასტრუქტურისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების შესყიდვებში მონაწილეობა;
- ტენდერის საშუალებით შეძენილი პროდუქციის მიღება, აღრიცხვა და დასაწყობება;
- აკადემიის პერსონალის მიერ მოთხოვნილი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების გაცემა საჭიროების მიხედვით;
- აკადემიის ქონების აღრიცხვა და განაწილება სტრუქტურული ერთეულების მიხედვით;
- აკადემიაში ტექნიკური პრობლემების შექმნის დროს დროული რეაგირება და დაზიანებების აღმოფხვრა;
- აკადემიის ტერიტორიისა და ბუნებრივი საფარის მოვლა;
- აკადემიის კუთვნილი ავტოტრანსპორტის საწვავ-საპოხი მასალებით უზრუნველყოფა;
- აკადემიის ტერიტორიაზე გაუთვალისწინებელი შემთხვევის შედეგად დაზიანებული მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების შეკეთება;
- წლის ბიუჯეტზე მუშაობისას აკადემიის სტრუქტურული ერთეულებიდან მოთხოვნილი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებების რაოდენობის გათვლა და შესყიდვების სამსახურისთვის მიწოდება;
- გათბობისა და გაგრილების სისტემის რეაბილიტაციის დასრულება;
- გენერატორის შეკეთება;
- საკონფერენციო დარბაზის რესტორანში დამონტაჟდა დამატებითი გათბობა გაგრილების სისტემა;
- შეკეთდა ტერიტორიაზე შემომავალი დაზიანებული მაღალი ძაბვის კაბელი;
- ასევე შეკეთდა ტერიტორიაზე არსებული გარე განათების კაბელები;
- დასრულდა აკადემიის საქვების რეაბილიტაცია (შეიცვალა 2 ცალი ქვაბი, დაემატა 2 საკვამური, შეიცვალა წყლის დამარბილებელი სისტემა და დაზიანებული დეტალები.).

საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილება

ჩატარებული/მიმდინარე სამუშაოები

- აკადემიის ტერიტორიაზე არსებული ქსელების მონიტორინგი და გამართულად მუშაობის კონტროლი (ინტერნეტ ქსელი, თავდაცვის სამინისტროს შიდა ქსელი);
- აკადემიის ტერიტორიაზე არსებული საგამოცდო ცენტრების ფუნქციონირება და მონიტორინგი;
- აკადემიის პერსონალის, არსებული სკოლებისა და იუნკერების კომპიუტერების გამართულად მუშაობის კონტროლი (ოპერაციული სისტემები, საოფისე პროგრამები 1420 კომპიუტერი);
- აკადემიის პერსონალისა და იუნკერებისთვის კონსულტაციის გაწევა;
- აკადემიის ტერიტორიის პერიმეტრის დაცვის სისტემის დაზიანებული კამერების შეკეთება. შენობებში მწყობრიდან გამოსული კამერების შეკეთება და შეცვლა;
- დამატებითი გახმოვანების აპარატურის შეძენა;
- აკადემიის ტერიტორიაზე სხვადასხვა ღონისძიებების, ტრენინგებისა და ლექციების ტექნიკური უზრუნველყოფა;
- ადმინისტრაციული შენობიდან სხვა დანარჩენ შენობებში თავდაცვის სამინისტროს შიდა ქსელის ჩასართავად გათვლითი სამუშაოების ჩატარება;
- ზოოვეტის ტერიტორიაზე სამინისტროს შიდა ქსელის ჩართვა. დოქტრინების შემუშავების სამმართველოს და ენების სკოლის კომპიუტერების შემოწმება და შეკეთება.

სტატისტიკა

- პირველ კურსელი იუნკერებისთვის დაინსტალირდა 132 ცალ ნოუთბუქზე Windows 8. აუცილებელი პროგრამებით;
- შემოწმდა კაპიტნის საკარიერო სკოლის 94 ცალი ნოუთბუქი;
- შემოწმდა და შეკეთდა სამეთაურო-საშტაბო სკოლის 30 ცალი ნოუთბუქი;
- შეკეთდა 70 ცალი უწყვეტი კვების წყარო (UPS);
- Windows 7 დაინსტალირდა II,III,IV კურსელი იუნკერების 55% ნოუთბუქზე. დამატებითი პროგრამებით.

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება

ზოგადი ფუნქციები

- სიახლეებისა და ინფორმაციის ინტერნეტ სივრცეში განთავსება - ქართულ და ინგლისურ ენებზე (eta.edu.ge, facebook, youtube, edu.aris.ge);

- აკადემიის სოციალური მედიის ყოველდღიური განახლება;
- აკადემიის მეილისა და ფეისბუქის საშუალებით შემოსულ კითხვებზე დროულად პასუხების გაცემა;
- მიმდინარე კალენდარზე მუშაობა-გაშუქება (ფოტო და ვიდეო);
- აკადემიის სკოლებში მიმდინარე მეცადინეობების შესახებ სიუჟეტების მომზადება;
- აკადემიაში სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში მონაწილეობა;
- პრეზენტაციების, სკოლების მიმოხილვებისა და გეგმა-სცენარების მომზადება;
- აკადემიის სარეკლამო ღონისძიებების უზრუნველყოფა - რეკლამის, ფლაიერებისა და გზამკვლევის ტექსტის მომზადება;
- აკადემიის ცნობადობის ამაღლების მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელება (რეგიონალური საგანმანათლებლო გამოფენა, საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოფენა, ღია კარის დღეები);
- აკადემიის PR სტრატეგიის მომზადება.

ჩატარებული ღონისძიებები

- გაშუქებული ვიზიტების რაოდენობა - **140**
 - ✓ იუნკერთა ფიცის მიღებები;
 - ✓ ოფიცერთა ფიცის მიღებები;
 - ✓ მსმენელების ფიცის მიღებები;
 - ✓ საბაკალავრო, უმცროს ოფიცერთა, კაპიტნის საკარიერო და სამეთაურო-სამტაბო სკოლების გამოშვებები;
 - ✓ ლექციები/სპიკერების პროგრამა;
 - ✓ გაცნობითი სახის ვიზიტები;
 - ✓ სასწავლო წლის დასაწყისი;
 - ✓ ფილმის ჩვენებები;
 - ✓ საველე სწავლებები;
 - ✓ საბაკალავრო სკოლაში მიღებასთან დაკავშირებული ღონისძიებები;
 - ✓ ოფიცერთა მომზადების საკანდიდატო კურსზე მიღებასთან დაკავშირებული ღონისძიებები;
 - ✓ ღია კარის დღეების/საინფორმაციო შეხვედრები;
 - ✓ საგანმანათლებლო გამოფენები.
- ტელევიზიებით გაშუქებული ღონისძიებები - **6**
 - ✓ ფიცის მიღებები;
 - ✓ პრეზიდენტთან მემორანდუმის გაფორმება;
 - ✓ იუნკერების პირველი გამოშვება;
 - ✓ მაღალი რანგის უცხოელი სტუმრების ვიზიტი.

კანცელარია

ზოგადი საქმიანობა

საიდუმლო, არასაიდუმლო საქმისწარმოება და არქივი:

- დოკუმენტზე მუშაობის ფორმირებისა და მეთოდების სრულყოფა;
- საქმისწარმოების ერთიანი წესებისა და ნორმატივების შესაბამისად დოკუმენტირების, დოკუმენტზე მუშაობის ორგანიზაციის, შესრულების კონტროლისა და დოკუმენტების დასაარქივებლად მომზადება;
- შემოსული, ადგილზე დამზადებული და გასული საიდუმლო და არასაიდუმლო დოკუმენტების (ბრძანებები, დირექტივები, ბრძანებულება, მითითება, დადგენილება, დებულება, დარიგება, სახელმწიფო ინსტრუქცია, წესი, გეგმა, მოხსენება, ოქმი, აქტი, პროგრამები, შეკვეთა, პატაკი, ტელეგრამა, სამსახურებრივი წერილი, ცნობა, მიწერილობა და სხვა სამსახურებრივი დოკუმენტები) აღრიცხვა, მატერიალური სახით შემოსული დოკუმენტების დასკანერება, ატვირთვა, დაგზავნა და მათ შესრულებაზე კონტროლი.

განხორციელებული ღონისძიებები

ელექტრონული სისტემის “eflow” გარეთ დარეგისტრირებულია **1062** დოკუმენტი

- დარეგისტრირდა და გამოიცა 338 აქტი;
- დარეგისტრირდა 15 აკადემიური საბჭოს ოქმი;
- დარეგისტრირდა აკადემიური საბჭოს 44 დადგენილება;
- აღრიცხა 28 გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება;
- გაიცა 74 ცალი დიპლომი კაპიტნის კურსდამთავრებულებზე;
- გაიცა 29 ცალი დიპლომი სამეთაურო-საშტაბო კურსის კურსდამთავრებულებზე;
- გაიცა 62 ცალი დიპლომი საკანდიდატო კურსის კურსდამთავრებულებზე;
- გაიცა 5 ცალი სერთიფიკატი ავიაციის ძირითადი კურსის კურსდამთავრებულებზე;
- გაიცა 8 ცალი დიპლომი კავშირგაბმულობის სპეციალიზაციის კურსდამთავრებულებზე;
- მომზადდა 246 ცალი სერთიფიკატი უცხოენების კურსდამთავრებულებზე;
- მომზადდა 44 ცნობა უცხოენების იმ კურსდამთავრებულ მსმენელებზე, რომლებმაც ვერ მიიღეს სათანადო ქულები;
- გაიცა 30 ცალი დიპლომი ქვეით ოფიცერთა მომზადების სპეციალიზაციის კურსდამთავრებულებზე;

- გაიცა 34 ცალი სერთიფიკატი სამხედრო პოლიციის გადამზადების კურსი კურსდამთავრებულეებზე;
- გაიცა 105 ცალი დიპლომი საბაკალავრო სკოლის კურსდამთავრებულ იუნკერებზე.

ელექტრონული სისტემა “eflow” -ში დარეგისტრირებულია **35423** დოკუმენტი

სპორტული კომპლექსი

ზოგადი საქმიანობა

სპორტული კომპლექსი ფუნქციონირებს აკადემიის მსმენელების, იუნკერებისა და სხვა პერსონალის ფიზიკური აღზრდის გაუმჯობესებისა და სპორტული აქტივობების ჩატარების უზრუნველსაყოფად.

გატარებული ღონისძიებები

- ივნისის თვეში აუზზე ჩატარდა სარეგლამენტო სამუშაოები, შემოწმდა ყველა ელექტრო დანადგარი, ვენტილაციის აგრეგატები, გათბობისა და წყალმომარაგების სისტემები. ქიმიურად დამუშავდა აუზის აბაზანა და შეკეთდა აუზის ფსკერის კაფელი, შეიცვალა წყალი;
- კომპლექსის მომსახურე პერსონალის მიერ მუდმივად მიმდინარეობს სპორტული ინვენტარის ექსპლოატაციის მონიტორინგი, საჭიროების შემთხვევაში დროულად ხდება დაზიანებების აღმოფხვრა;
- სისტემატურად ხდება კომპლექსის ინვენტარით განახლება და შევსება.

საშტატო დაკომპლექტება

ფინანსების მართვის სამმართველო

5 სამოქალაქო პირი:

- 1 სამმართველოს უფროსი;
- 1 სამმართველოს უფროსის მოადგილე (მთ. ბუღალტერი);
- 2 მთავარი სპეციალისტი;
- 1 უფროსი სპეციალისტი.

შენიშვნა: შტატი სრულად დაკომპლექტებულია.

იურიდიული სამმართველო

სულ: 3 (2 სამოქალაქო პირი; 1 სამხედრო)

- 1 სამმართველოს უფროსი;
- 1 მთავარი სპეციალისტი;
- 1 იურისტ-კონსულტი.

შენიშვნა: 1 ვაკანსია - მთავარი სპეციალისტი.

ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება

სულ: 15 (7 სამხედრო; 8 სამოქალაქო)

- 1 განყოფილების უფროსი (ოფიცერი);
- 1 უფროსი ოფიცერი;
- 3 ოფიცერი;
- 2 სერჟანტი;
- 2 მთავარი სპეციალისტი;
- 3 უფროსი სპეციალისტი;
- 3 სპეციალისტი.

შენიშვნა: შტატი სრულად დაკომპლექტებულია.

შესყიდვების განყოფილება

სულ: 5 სამოქალაქო პირი

- 1 განყოფილების უფროსი;
- 2 მთავარი სპეციალისტი;
- 2 უფროსი სპეციალისტი.

შენიშვნა: შტატი სრულად დაკომპლექტებულია.

მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება

სულ: 94 სამოქალაქო პირი

- 1 განყოფილების უფროსი;
- 1 განყოფილების უფროსის მოადგილე;
- 1 უფროსი სპეციალისტი;

- 5 სპეციალისტი;
- 86 საყოფაცხოვრებო ჯგუფი.

შენიშვნა: ვაკანტური ადგილი 5 (საყოფაცხოვრებო ჯგუფში).

საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილება

სულ: 4 სამოქალაქო პირი

- 1 განყოფილების უფროსი;
- 1 მთავარი სპეციალისტი;
- 2 უფროსი სპეციალისტი.

შენიშვნა: შტატი სრულად დაკომპლექტებულია.

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება

სულ: 3 სამოქალაქო პირი

- 1 განყოფილების უფროსი;
- 1 ფოტო-გადაღების უფროსი სპეციალისტი;
- 1 ვიდეო-გადაღების უფროსი სპეციალისტი.

შენიშვნა: 1 ვაკანსია - მთავარი სპეციალისტი.

კანცელარია

სულ: 6 (5 სამოქალაქო პირი; 1 სამხედრო პირი)

- 1 განყოფილების უფროსი;
- 1 უფროსი სპეციალისტი;
- 4 სპეციალისტი.

შენიშვნა: შტატი სრულად დაკომპლექტებულია.

სპორტული კომპლექსი

სულ: 4 სამოქალაქო პირი

- 1 სპორტული კომპლექსის უფროსი;
- 3 სპორტული კომპლექსის სპეციალისტი.

შენიშვნა: შტატი სრულად დაკომპლექტებულია.

გასართობი ცენტრი

სულ: 1 სამოქალაქო პირი

- 1 გასართობი ცენტრის უფროსი;

შენიშვნა: შტატი სრულად დაკომპლექტებულია.

გენდერული თანასწორობის კუთხით გატარებული ღონისძიებები

2012-2015 ეროვნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში:

- სწავლება გენდერული თანასწორობის პრინციპებისა და გაეროს უშიშროების საბჭოს №1325, 1820, 1888, 1889 და 1960 რეზოლუციების შესახებ **დამტკიცდა** ეროვნული თავდაცვის აკადემიის **აკადემიური საბჭოს** მიერ, რომელიც ხორციელდება, როგორც საბაკალავრო, ასევე ოფიცრის საკარიერო სკოლების **სასწავლო პროგრამებით**.

აკადემიის მიერ გადამზადებული სამხედრო და სამოქალაქო პირები - (სულ 1170):

- საბაკალავრო სკოლა - **472** იუნკერი (მათ შორის **9** ქალი);
- სასწავლო ბატალიონის - **20** წარმომადგენელი (ოფიცრები და სერჟ.);
- უმცროს ოფიცერთა სკოლა - **360** მსმენელი (მათ შორის **4** ქალი);
- კაპიტნის საკარიერო სკოლა - **224** მსმენელი (მათ შორის **4** ქალი);
- სამეთაურო-სამტაბო სკოლა - **32** მსმენელი;
- ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი - **24** თანამშრომელი;
- აკადემიის მმართველი რგოლი, როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო - **20** თანამშრომელი;
- გიორგი ანწუხელიძის სახელობის სერჟანტთა მომზადების ცენტრის მსმენელები - **18** მსმენელი.